

### ფინანსური განათლება სკოლაში

საფეხური/ კლასი: საბაზო/ VII;

ძირითადი მიმართულება: დაზოგვა, ფული

დავალების ტიპი: კომპლექსური დავალება;

დავალების განხორციელების დრო: 5 საგაკვეთილო საათი.

დავალების მიზანი:

- მოსწავლეებში ეკონომიკური და ფინანსური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- ფინანსების დაზოგვასთან დაკავშირებული სარგებლიანობის და რესურსების რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობის გააზრება;

თემა: ეკონომიკური ურთიერთობები თემში;

საკითხი: ენერგოეფექტურობა - ფინანსური და ენერგეტიკული რესურსების გონივრული დაზოგვა

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- ფინანსური კეთილდღეობის საწინდარი დაზოგვა და გონივრული ხარჯვაა, და არა დიდი შემოსავლები;
- ჩვენს ხარჯვით ქცევებზე გავლენას ბევრი ფაქტორი ახდენს, მათ შორის, მეგობრები, გარემო, რეკლამა;

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:

- რატომ არის საჭირო ფული?
- როგორ ვხარჯოთ თანხა გონივრულად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი დაზოგვა?

სამიზნე ცნება/ მკვიდრი წარმოდგენები:

**1. მდგრადი განვითარება** - რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და

მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;

ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს.

**2. სამოქალაქო მონაწილეობა** - დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;

სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;

აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე.

სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;

სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.

**სტანდარტით მისაღწევი შედეგები:**

**მოქ.საბ.7.** ასაკის შესაბამისი ფინანსური უნარ-ჩვევების (მაგ., პირადი ფინანსების დაგეგმვა და პასუხისმგებლობით განკარგვა) გამოვლენა;

**მოქ.საბ.8.** სამოქალაქო აქტივობებში მოხალისეობის საფუძველზე ჩართულობისა მნიშვნელობის გაცნობიერება და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე მოქმედების საჭიროების დანახვა;

**მოქ.საბ. 9.** საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა;

**მოქ.საბ.10.** მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება;

**ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები.** დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის და თანამშრომლობის, ინიციატივების გამოვლენის და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.

**შეფასების ტიპი:** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება;

## ძირითადი ქეისი:

ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ სტუდენტი მეგობრები. ერთხელ, საუბრისას აღმოჩნდა რომ ელენე მარიამთან შედარებით მეტ ელექტროენერჯის გადასახადს იხდიდა. თუმცა მათი სახლში ყოფნის დრო და ელექტრო ტექნიკის გამოყენების სიხშირე ერთნაირი აღმოჩნდა. საუბრის და მსჯელობის შემდეგ აღმოჩნდა რომ მარიამის ბინაში იყო ენერგო დამზოგავი ნათურები, თანაც სახლიდან გასვლისას არანაირ ტექნიკას ჩართულს არ ტოვებდა, მაქსიმალურად იყენებდა ბინაში მზის განათებას. ელენეს არ ჰქონდა ინფორმაცია ენერგოეფექტურობის და დაზოგვის შესახებ, არც არასოდეს მიუქცევია ყურადღება მსგავს დეტალებზე, ის ბინიდან გასვლის შემდეგ ტოვებდა ტექნიკას დენის წყაროში ჩართულს, დღის მანძილზე ნათურები და ტელევიზორიც სულ ჩართული ჰქონდა უყურადღებოდ, რის გამოც ელენეს კომუნალური გადასახადიც მაღალია.

## კომპლექსური დავალების პირობა:

ნებისმიერი კვების ბლოკი, რომელსაც გვგონია, რომ არ ვიყენებთ, დამატებით ელექტროენერჯიას ხარჯავს. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ ჩვევების ან უყურადღებობის გამო, ყოველთვიურად, კომუნალურ გადასახადს რამდენიმე ათეულობით ლარით მეტს ვიხდით, რაც უარყოფითად აისახება ჩვენივე ბიჯეტზე. ალბათ ახლა დაფიქრდები, რამდენი ენერჯია იხარჯება დენის წყაროში ზედმეტად შეერთებული ტექნიკის შემთხვევაში. გაკვეთლებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადეთ **საინფორმაციო ბუკლეტი**, შენთვის მისაღები (მატერიალური ან ელექტრონული) ფორმით, სადაც აღწერ ელექტროენერჯის მიზნობრივი/ რაციონალური მოხმარების ფინანსურ სარგებელს მოქალაქეებისთვის და ქვეყნისთვის. გაავრცელეთ ინფორმაცია თემში და სკოლის სოციალურ ქსელში.

## ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- ელექტროენერჯის არამიზნობრივი ხარჯვის პრობლემა;
- უარყოფითი შედეგები, რომლებიც ელექტროენერჯის/ რესურსების არამიზნობრივ/არარაციონალურ გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს?
- რეკომენდაციები და კონკრეტული აქტივობები, რომლითაც თქვენი ოჯახისა და თემის წევრებს ელექტროენერჯის/რესურსების მიზნობრივად გამოყენებაში დაეხმარები;
- წარმოაჩინეთ, ელექტროენერჯის მიზნობრივი მოხმარების ფინანსური სარგებელი;

*(აღნიშნულ დავალებას მიმდინარე სასწავლო წელს უკვე მესამედ ვახორციელებ პრაქტიკაში. სახელმძღვანელოში ეს კონკრეტული საკითხი ცალკე პარაგრაფად არ გვაქვს, თუმცა შევიტანე მოქალაქეობის მეშვიდე კლასის საგნობრივ კურსკულუმში. საკითხის ირგვლივ არსებული მრავალფეროვანი რესურსები იძლევა საშუალებას დაიგემოს ისეთი აქტივობები, რაც საკითხის ამომწურავად და სიღრმისეულად გააზრების საშუალებას აძლევს ჩვენს მოსწავლეებს. წელსაც დავალებას ვახორციელებ მეორე სემესტრში, როდესაც გავდივართ თემას: ეკონომიკური ურთიერთობები თემში. ყოველწლიურად ვგეგმავ კიდევ უფრო გავამრავალფეროვნო აქტივობებით. დავალების მიმდინარეობის სამივე ეტაპზე გამოვიყენე სხვადასხვა ტიპის ელექტონული რესურსები. ცხრილში მოცემული ძირითადი აქტივობები არის იმ თანმიმდევრობით, როგორც განვახორციელებ პრაქტიკაში, თუმცა თითოეული რესურსი იძლევა განსახვავებული ტიპის აქტივობის დაგეგმვის საშუალებას. დავალების მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე და საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს ვაძლევდი განმავითარებელ უკუკავშირს და რეკომენდაციებს. სსსმ. მოსწავლეები არ მყავს, თუმცა გამოვიყენე დიფერენცირებული მიდგომა რამდენიმე მოსწავლესთან მიმართებაში. მაგალითად, მოსწავლეს რომელსაც გაუჭირდა მეორე ეტაპზე აქტივობაში წინადადების შედგენა, კითხვებით და მინიშნებებით მივიყვანეთ რომ დავალება შეესრულებინა. რამდენიმე მოსწავლეს გაუჭირდა დამოუკიდებლად მუშაობა და არ ჰქონდა საშინაო დავალება, მაგრამ კლასშივე დავებმარეთ ოჯახში არსებული ელექტროტექნიკის ხარჯების დაანგარიშებაში, მათემატიკური მოქმედებების შესრულებაში. დავალების განხორციელების პროცესში შესაძლებელია მოსწავლეების განმსაზღვრელი ქულით შეფასება (მაგ: დისკუსიაში). გამოვიყენე განმავითარებელი შეფასება და მოსწავლის თვითშეფასება. (იხ. ცხრილები)*

**დავალების ეტაპები და ძირითადი აქტივობები:**

**პირველი ეტაპი:**

განხორციელებული აქტივობები:	აქტივობის აღწერა:	რესურსი:	მუშაობის ფორმა:	დრო:
აზრობლივი რუკა- თქვენი აზრით, რას ნიშნავს ენერგოეფექტურობა?  მიზანი: გამოწვევის ეტაპზე საკითხით მოსწავლეების დაინტერესება და საკითხის	მოსწავლეები ჩამოთლიან და ასახელებენ ყველა სავარაუდო განმარტებას. გაკვეთილის ბოლოს ვუბრუნდებით და აღვნიშნავთ განვიხილავთ სწორ ვერსიებს. ასევე, მოსწავლეების ჩართულობის და მოტივაციის შექმნის მიზნით გამოვიყენე		საერთო საკლასო	8- 10 წთ.



<p>შესახებ კლასში არსებული ცოდნის გამოვლენა.</p>	<p>აქტივობა „მუქნიშანი“ ანუ გამოკითხვა კლასში: ვინ ზოგავს ელექტროენერგიას? (წითელი- არ ვიცავ წესებს, მწვანე- ვიცავ და ვუფრთხილდები, ყვითელი- ვიცავ, მაგრამ ყოველთვის არა).</p>			
<p>კომპლექსური დავალების ქეისის და დავალების პირობის გაცნობა.</p>	<p>წავიკითხავთ კლასში ქეისს, განვიხილავთ და შემდეგ ვაცნობ დავალების პირობას კრიტერიუმებით.</p>	<p>საპრეზენტაციო ფორმატში მომზადებული მასალა, სადაც გაეროს მიზნებიდან ვახსენებთ ერთ-ერთს სწორედ ენერჯის დაზოგვასთან დაკავშირებით და ასევე ინტერაქტიული ლექციის მეთოდით განვიხილავთ სახალისო რესურსებს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. <a href="#">დაზოგველექტროენერგია</a></li> <li>2. <a href="#">ენერგოეფექტურობა</a></li> <li>3. <a href="#">მოვემზადოთზამთრისთვის</a></li> </ol>	<p>ინდივიდუალური</p>	<p>25-30 წთ.</p>

მეორე ეტაპი:

განხორციელებული აქტივობები:	აქტივობის აღწერა:	რესურსი:	მუშაობის ფორმა:	დრო:
<p><b>T- დიაგრამა</b> მიზანი: სახალისო ანიმაციის დახმარებით გაანალიზონ მოსწავლეებმა რას ნიშნავს ენერგოეფექტურობა და რატომ არის საზიანო არამიზნობრივად ხარჯვა.</p>	<p>3 წუთიანი ანიმაციის ჩვენების შემდეგ, მოსწავლეებს ვთხოვთ ფლიფჩარტზე ჩამოწერონ ფილმში გადმოცემული პრობლემები და ამ პრობლემის გადაჭრის გზები.</p>	<p><a href="#">ანიმაციური ფილმი-დავზოგოთ ენერგია</a>  <a href="#">ანიმაციური ფილმი-2</a>  პრობლემა   გადაჭრის გზა</p>	<p>წყვილებში</p>	<p>15-20 წთ.</p>
<p><b>წინადადებების აწყობა</b> მიზანი: მოსწავლეებში სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა.</p>	<p>მოსწავლეებს ვთავაზობთ საკვანძო სიტყვებს, რომელიც დაჭრილია ბილეთებად. მოსწავლე აირჩევს ერთ-ერთს და ააგებს წინადადებას კონკრეტულ სიტყვაზე. წინადადებების მოფიქრებისთვის დროს განვსაზღვრავთ მოსწავლეების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.</p>	<p><b>საკვანძო სიტყვები:</b> ბიუჯეტი; დაზოგვა; რაციონალური; ფული; ხარჯი; სურვილები; საჭიროებები; კომუნალური გადასახადი; ფინანსური რესურსები და აშ.</p>	<p>ინდივიდუალური</p>	
<p><b>საკლასო დისკუსია თემაზე: ელექტროენერჯის დაზოგვა-ჩვენი პირადი არჩევანი თუ აუცილებლობა?</b> მიზანი: არგუმენტირებული/დასაბუთებული მსჯელობის გზით, მოსწავლეებს მივცეთ საშუალება გაიაზრონ, რატომ არის მნიშვნელოვანი</p>	<p>მოსწავლეები მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, რაც მათთვის ნაცნობია, მაგალითად: იქმნება თუ არა პრობლემა, ვხარჯოთ რამდენიც გვინდა და როგორც გვინდა თუ შესაბამისად გადავიხდით/დავფარავთ ხარჯებს? რას ნიშნავს რესურსების გონივრულად მოხმარება? როგორაა დაკავშირებული ერთი რესურსის გონივრული მოხმარება, მეორე რესურსის დაზოგვასთან?</p>	<p>1. <a href="#">ენერჯის დაზოგვის მარტივი რჩევები</a> 2. <a href="#">დაზოგველექტროენერჯი</a></p>	<p>მოსწავლეთა განლაგება წრიულად, დისკუსიის ფორმტში. დისკუსიის შესაბამისი წესებით.</p>	<p>30-35 წთ.</p>



ჩვენთვის და ქვეყნებისთვის ელექტროენერჯის დაზოგვა.	რატომ აქვს არსებითი მნიშვნელობა თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობას რესურსების დაზოგვის საკითხში? და ა.შ. ბოლოს ვაჯამებთ დისკუსიის შედეგებს.			
<p><b>საშინაო / პრაქტიკული დავალება</b></p> <p>მიზანი: ფინანსური უნარების განვითარება.</p>	<p>1. მოსწავლეებს ვთავაზობთ სატელევიზიო სიუჟეტს, რომ გამოიანგარიშონ დაახლოებით რამდენის დაზოგვას შეძლებს ოჯახი წესების გათვალისწინების შემთხვევაში.</p> <p>2. ელექტროენერჯის დავალიანების დაფარვიდან მომდევნო გადახდამდე, ეცადეთ ოჯახში დაზოგოთ ენერჯია ჩვენთვის ცნობილი წესებით და მოინიშნეთ მონაცემი რამდენი იქნება განსხვავება, რამდენის დაზოგვა შევძელით ერთი თვის მანძილზე და რამდენს დავზოგავთ წელიწადში;</p>	<p><a href="#">რამდენ ლარს ვხარჯავთ დღეში ტექნიკის მოხმარებით?</a></p> <p>ჩანაწერის გაკეთება;</p>	<p>დამოუკიდებელი სამუშაო;</p> <p>დამოუკიდებელი სამუშაო;</p>	<p>მომდევნო გაკვეთილისთვის.</p> <p>კომუნალურის დაფარვიდან-მომდევნო გადახდამდე.</p>
გამოკითხვა თემის წევრების და კვლევის ჩატარება-რამდენად	არასაგაკვეთილო დროს თემში ან სამეზობლოში მოსახლეობის გამოკითხვა, წინასწარ მომზადებული	<p>კითხვები:</p> <p>1.ენერგოეფექტურობის შესახებ ფლობთ თუ არა</p>	წყვილებში და ტრიალებში	3-4 დღე.



<p>ინფორმირებულია საზოგადოება და ხდება თუ არა სათანადოდ დაზოგვა ელექტროენერჯის? დასკვნის შედეგებს და მონაცემებს წარმოადგენენ დიაგრამის ან ცხრილის სახით.</p> <p>მიზანი: კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა და მოსახლეობის ინფორმირება.</p>	<p>კითხვარის მეშვეობით. გამოკითხვის მიზანია, რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა ენერგოეფექტურობის შესახებ.</p>	<p>ინფორმაციას? 2. რამდენად ცდილობთ ან გამოგდით ელექტროენერჯის დაზოგვა? 3. როგორ ფიქრობთ, ენერგეტიკული რესურსების დაზოგვა ჩვენი არჩევანია თუ აუცილებლობა? 4. ტექნიკას ოჯახში (კომპიუტერი, სარეცხი მანქანა, მობილურის დამტენი.. ) ყოველთვის რთავთ დენის წყაროდან როდესაც აღარ იყენებთ? 5. ელექტრო ტექნიკის შეძენის დროს რას აქცევთ ყურადღებას?</p>		
<p><b>მომზადებული ბუკლეტების პრეზენტაცია და გაზიარება სკოლაში და სოციალურ ქსელში.</b></p>	<p>მოსავლეები აკეთებენ პრეზენტაციას, პასუხობენ შეკითხვებს და მასწავლებელი განმავითარებელი კომენტარით მიუთითებს, რა იყო დავალების საუკეთესო მხარე, რა სამუშაოები შეასრულა მოსწავლემ წარმატებით და ასევე რეკომენდაციები გასაუმჯობესებელ მხარეებზე.</p>	<p><a href="#">მოსწავლეთა ნამუშევრები</a></p>	<p>ინდივიდუალური/ დამოუკიდებელი სამუშაო</p>	<p>5საგაკვეთილო დროის პერიოდში, ძირითადად კლასში საგაკვეთილო პროცესში ვამზადებდით ბუკლეტებს და რა თქმა უნდა არასაგაკვეთილო დროშიც მუშაობენ მოსწავლეები.</p>





#	დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები:	შეფასება 2-სრულად აკმაყოფილებს; 1-ნაწილობრივ; 0-ვერ აკმაყოფილებს;
1	მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს, თუ რატომ უნდა დაეზოგოთ ელექტროენერგია, რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენი ოჯახის ბიუჯეტისთვის, ქვეყნისთვის და ზოგადად დედამიწისთვის დაზოგვა.	2
2	მსჯელობს არგუმენტირებულად კლასში მასწავლებლის და თანაკლასელების მიერ დასმულ შეკითხვებზე.	2
3	აკეთებს ლოგიკური და გონივრულ დასკვნებს.	2
4	ავლენს საკითხის ირგვლივ ცოდნას, საკითხავი/ გაზიარებული რესურსებიდან/ მასალიდან.	2
5	ისმენს და პასუხობს განსხვავებულ აზრს, აქვს მიმდებლობა და არის კორექტული დისკუსიის მსვლელობის პროცესში.	2

განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმი:	კომენტარი:
<p><b>პრესტრუქტურული დონე</b> მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. ვერ იგებს/ვერ პასუხობს საკითხთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს მასწავლებლის დახმარების და მინიშნებების გარეშე; უჭირს გამოკითხვის ჩატარება დამოუკიდებლად და ასევე უჭირს დასკვნების გამოტანა საკითხის შესწავლის პროცესში; უჭირს ბუკლეტზე დამოუკიდებლად მუშაობა და საბოლოო პროდუქტის შექმნა;</p>	
<p><b>უნისტრუქტურული დონე</b> მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ესმის რას ნიშნავს ენერგოეფექტურობა და შეუძლია აქტივობებში მასწავლებლის და მოსწავლეების დახმარებით მარტივი დასკვნის გამოტანა; მუშაობს ბუკლეტზე და წარმოადგენს დავალებას მარტივად.</p>	
<p><b>მულტისტრუქტურული დონე</b> მოსწავლეს აქვს რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ჩამოთვლის რეკომენდაციებს და წესებს, შეუძლია მეწყვილესთან ერთად გამოკითხვის ჩატარება; გამოაქვს დასკვნები და გააზრებული აქვს რამდენიმე ძირითადი და მნიშვნელოვანი</p>	



<p>ინფორმაცია; მუშაობს ბუკლეტზე და აკეთებს პრეზენტაციას;</p>	
<p><b>მიმართებითი და აბსტაქტული დონე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლე მსჯელობს ყველა ძირითად პრობლემაზე, რასაც ელექტროენერგიის არარაციონალური გამოყენება იწვევს, ჩამოთვლის და ასაბუთებს არგუმენტირებულად. მაგალითად: ენერგორესურსების ზედმეტად ხარჯვა ქვეყანას რატომ აზარალებს, შეიძლება თუ არა გამოიწვიოს დეფიციტი, როგორ წარმოიქმნება ელექტროენერგია და არის თუ არა ეს დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების ამოწურვასთან, ზედმეტი ფინანსური ხარჯი ოჯახის ბიუჯეტისთვის;</li> <li>• მოიძიებს ინფორმაციას და აკეთებს დასკვნას ალტერნატიული გზების და საშუალებების შესახებ მზის და ქარის ენერგიით გამომუშავებული ელექტროენერგიის შემთხვევაში რამდენად დავზოგავთ ქვეყნის ენერგორესურსებს და საკუთარ ბიუჯეტს;</li> <li>• გაკვეთილზე მიღებული ინფორმაციის დახმარებით მსჯელობს ძირითად რეკომენდაციებზე, რომელსაც ავრცელებს თემში, ოჯახში..</li> <li>• არგუმენტირებულად, მაგალითებზე დაყრდნობით ასაბუთებს დაზოგვის შედეგად ფინანსურ სარგებელს თვის და წლის მანძილზე;</li> </ul>	

**მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა დავალების დასრულების შემდეგ:**

შეკითხვა	დიახ	ნაწილობრივ	არა	მოიყვანეთ მაგალითები
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რაიმეს გახსენება, ან ამოცნობა?				
დაგჭირდათ დავალებაზე მუშაობის პროცესში რაიმეს ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება, სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება?				
დაგჭირდათ დავალებაზე მუშაობის პროცესში ვარაუდის გამოთქმა და მისი ფაქტებით დადასტურება?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში საკუთარი მოსაზრებების ფაქტებით დადასტურება?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რაიმე პრობლემის გადაჭრა?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რაიმე პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და შეფასება?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ახალი იდეების მოფიქრება?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რისიმე დეტალებზე ყურადღების გამახვილება?				



დაფიქრდით თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში როგორ გამოგებატათ საკუთარი სათქმელი აუდიტორიისთვის გასაგებად და საინტერესოდ?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში იდეებისა და რესურსების გაზიარება (მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით)?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ჯგუფური მუშაობა; სხვებთან პასუხისმგებლობების გაზიარება?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში თემისთვის პრიორიტეტული საკითხების გაზრება?				
შეხვდით თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში გაუკვევლობებს?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში დაფიქრებულიყავით საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში დაფიქრებულიყავით რაიმეს სწავლის ხერხებზე?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში სამოქმედო გეგმის შექმნაზე?				
დაგჭირდათ თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში გაგეკეთებინათ თვითშეფასება?				
იყო თუ არა შენთვის სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?				